საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2022 წლის 10 ნოემბერი**

დისციპლინური საქმე №204/18
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2018 წლის 26 ივლისის №204 საჩივრის საფუძველზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^7 მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად დამოუკიდებელი ინსპექტორი გასცდა საჩივარში მითითებულ გარემოებებს.

1. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

1.1. 2017 წლის 31 ივლისს -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა -- -- მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 7 ივლისის №-- გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსათვის 2016 წლის 26 სექტემბრის №--, №--, №--, №-- განცხადებების საფუძველზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულება მოითხოვა. -- -- სასამართლოს 2017 წლის 1 აგვისტოს განჩინებით -- -- სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა -- -- სასამართლოს.

-- -- სასამართლოს 2017 წლის 21 აგვისტოს განჩინებით (მოსამართლე -- --) სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან კანონით დადგენილ ვადაში გამოთხოვილი იქნა 2017 წლის 7 ივლისის №-- გადაწყვეტილებაზე წარდგენილ (-- -- მიერ წარდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარზე) ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მასალები სრულად.

2018 წლის 20 აგვისტოს მოსარჩელემ დაზუსტებული სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს და არსებულ სასარჩელო მოთხოვნებთან ერთად მოითხოვა 2017 წლის 13 დეკემბრის №-- გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. იმავე დაზუსტებული სარჩელით მოსარჩელემ იშუამდგომლა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების თაობაზე. კერძოდ, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის გასხვისების აკრძალვა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 13 დეკემბრის №-- გადაწყვეტილების მოქმედების შეჩერება მოითხოვა.

-- -- სასამართლოს 2018 წლის 21 აგვისტოს განჩინებით (მოსამართლე -- --) -- -- სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის -- რაიონის -- -- მდებარე მიწის ნაკვეთის (ს/კ --) გასხვისების აკრძალვის შესახებ შუამდგომლობის და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 13 დეკემბრის №-- გადაწყვეტილების მოქმედების შეჩერების შესახებ შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.

2018 წლის 24 სექტემბერს -- -- სასამართლოს მოსამართლის აცილების თაობაზე შუამდგომლობით მიმართა მოსარჩელის წარმომადგენელმა, რომელმაც სასამართლოში ასევე წარადგინა საჩივარი 2018 წლის 21 აგვისტოს განჩინებაზე. -- -- სასამართლოს 2018 წლის 1 ოქტომბრის განჩინებით (მოსამართლე -- --) -- -- 2018 წლის 24 სექტემბრის საჩივარზე ხარვეზის შესავსებად განსაზღვრა 5 დღის ვადა.

2018 წლის 19 ოქტომბერს -- -- სასამართლოში სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ წარადგინა ადმინისტრაციულ საქმისწარმოებასთან დაკავშირებული მასალები.

-- -- სასამართლოს 2018 წლის 9 ნოემბრის განჩინებით შუამდგომლობა მოსამართლის აცილების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. -- -- სასამართლოს 2018 წლის 9 ნოემბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა -- -- 2018 წლის 24 სექტემბრის საჩივარი, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ 2018 წლის 21 აგვისტოს განჩინებაზე, დაუსაბუთებლობის მოტივით და გადაიგზავნა -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში.

1.2. არსებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, მოსამართლეს განსახილველად ჰქონდა:

- 2017 წლის 183 ადმინისტრაციული სამართლის საქმე, საიდანაც დაასრულა 114 (62%); ხოლო 136 სამოქალაქო სამართლის საქმიდან დაასრულა 61 საქმე (44.85%)
- 2018 წელს 668 საქმე, საიდანაც დაასრულა 376 (56.2%).

2. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 27 დეკემბრის დასკვნა:

-- -- №204 საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმებისა და წინასწარი მოკვლევის დროს დამოუკიდებელი ინსპექტორი, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გასცდა საჩივარში მითითებულ გარემოებებს და მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიერ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით (საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება) განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

3. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 9 სექტემბერს გადაწყვეტილება:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დისციპლინურ საქმეზე მსჯელობისას მიიჩნია, რომ მოსამართლემ მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ 2017 წლის 21 აგვისტოს განჩინება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს 1 წლის, 1 თვისა და 18 დღის შემდეგ გაუგზავნა, რაც თავის მხრივ შეიცავს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, 2020 წლის 9 სექტემბერს სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დისციპლინურ საქმეზე მოკვლეული გარემოებების შეფასების საფუძველზე, დადასტურებულად მიიჩნია მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტით „ვ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 11 წევრთაგან 10 ხმით მიიღო გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის დაწყებისა და მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ.

4. მოსამართლე -- -- ახსნა-განმარტება:

მოსამართლე -- -- საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ახსნა-განმარტება წარუდგინა 2020 წლის 15 ოქტომბერს. მოსამართლემ ახსნა-განმარტებაში ყურადღება გაამახვილა საქმეთა სიმრავლესა და დატვირთულობაზე. აღნიშნა, რომ აპარატში ჰყავდა მხოლოდ ერთი თანაშემწე. შესაბამისად მიაჩნია, რომ ორგანიზაციულ-საკადრო საკითხებმა, საქმეთა ნაკადთან ერთად, ნეგატიურ ჭრილში იმოქმედა მოცემულ საქმეზე.

5. დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის სამართლებრივი დასაბუთება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა.“

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „დისციპლინური გადაცდომა არის მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული, მოსამართლის მიერ ჩადენილი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ქმედება.“ დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც დისციპლინური გადაცდომის სახეების ჩამონათვალში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[7] მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემას შეიძლება საფუძვლად დაედოს ის გარემოებები, რომლებიც მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შესახებ საჩივარში, განცხადებაში ან სხვა ინფორმაციაში მითითებული არ ყოფილა და რომლებიც წინასწარი შემოწმების დროს გამოვლინდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმის სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის ისეთი ქმედება, რომელმაც ზიანი მიაყენა მხარეს, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

აღნიშნულთან მიმართებით საგულისხმოა, რომ იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესში, რადგანაც ვადა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს ემსახურება, როგორებიცაა: ეფექტური, ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; სამართლებრივი უსაფრთხოების, განსაზღვრულობის, სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგის და სტაბილურობის დამყარება[1].

სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობის განსაზღვრა საქმის გარემოებების გათვალისწინებით ხდება, რაც მთლიანი წარმოების შეფასებას გულისხმობს (Boddaert v. Belgium, §36). მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა წარმოების გარკვეული ეტაპები მისაღები ტემპით მიმდინარეობდა, წარმოების მთლიანმა ხანგრძლივობამ შეიძლება მაინც გადააჭარბოს „გონივრულ ვადას“ (Dobbertin v. France, §44).

საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურების შესაძლო ჩადენაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო) იყენებს.

შესაბამისად, საქმის განხილვის ვადების გონივრულობა უნდა შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრაქტიკით დადგენილი შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grange v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39);

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/1/531, 2013 წლის 05 ნოემბერი, II 17-19

რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Humen v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greek Catholic Parish and others v. Romania, §150);

2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას;
3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece, §93; Tierce and others v. San Marino, §31; Suermeli v. Germany, §129).

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany, §98).

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარების თანახმად, საქმეების ეფექტიანად, სამართლიანად და საკმარისად სწრაფად განხილვისას მოსამართლემ უნდა გამოიჩინოს სათანადო ყურადღება იმ მხარეთა უფლებების მიმართ, რომლებიც მის წინაშე გამოდიან და უზრუნველყოს სადავო საკითხების გადაწყვეტა ზედმეტი დანახარჯებისა და სამართალწარმოების გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე.[2]

ამდენად, მხარეთა უფლება მათი სარჩელის მტკიცებულებათა შეფასების შედეგად გონივრულ ვადაში განხილვის შესახებ, მოსამართლის უპირველესი ვალდებულებაა. მოსამართლე საქმის წარმოების დასაწყისიდანვე უნდა აკონტროლებდეს სამართალწარმოების ვადებს და მის ხანგრძლივობას, მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს პროცესუალური მოქმედებების თარიღებს. საპროცესო ვადის დარღვევამ არ უნდა შეუქმნას საფრთხე მართლმსაჯულების განხორციელებას.

დადგენილია, რომ მოსამართლემ მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ 2017 წლის 21 აგვისტოს განჩინება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს 1 წლის, 1 თვისა და 18 დღის შემდეგ გაუგზავნა, რაც თავის მხრივ შეიცავს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს თუმცა, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა გაითვალისწინეს მოსამართლე -- -- მიერ წარდგენილი ახსნა-განმარტება, მოსამართლის წარმოებაში არსებული საქმეთა სიმრავლე და სტატისტიკური მონაცემები.

6. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრისას მხარს დაუჭერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{13} მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დისციპლინური საქმის გამოკვლევის დასრულების შემდეგ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო დისციპლინური საქმის გამოკვლევისათვის ამ კანონის 75^{10} მუხლის პირველი

[2] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრიციპები და კომენტარები, თბილისი 2015, გვ. 192, §207

პუნქტით დადგენილი საერთო ვადის ფარგლებში სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ. თუ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვერ მიიღებს აღნიშნულ გადაწყვეტილებას, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდება. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს, რომელიც არ ეთანხმება ამ გადაწყვეტილებას, შეუძლია წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი განსხვავებული აზრი, რომელიც დისციპლინურ საქმეს დაერთვება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 10 ნოემბრის სადისციპლინო სხდომაზე წევრებმა გაითვალისწინეს მოსამართლის ახსნა-განმარტებაში მითითებული გარემოებები და ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ცხრა წევრმა, დისციპლინური საქმის გამოკვლევის საფუძველზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოსამართლე -- -- მიმართ პასუხისგებაში მიცემის საფუძვლები.

შესაბამისად „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტისა და 75^{13} მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე და 75^{8} მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №204/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი